# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/114

ქ.რუსთავი

10 დეკემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი ტაბატაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,G.N.Group" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ნოზაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს" (გამარტივებული შესყიდვა) თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე". ,,კვირა", ,,თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4

1.5 ,,შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.6 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.7 ,,მხარე" - ,,შემსყიდველი" ან/და ,,მიმწოდებელი".

1.8 ,,საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საქართველოს და ევროკავშირის დროშების შეძენა დანართი №1-ს შესაბამისად (CPV3580000)

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1440 (ერთი ათასოთხას ორმოცი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ,,მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი , ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შპს ,,G.N.Group"-ის წარმომადგენელი

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) საქონლის დასახელება;

ბ) საქონლის ღირებულება;

გ) საქონლის რაოდენობა.

## 6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. რუსთავი კოსტავას №20

6.2 საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღე.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| | |

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) საქონლის სრულ და ჯეროვნად მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში;
ბ) წუნის (დეფექტის) შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დეფექტური საქონლის შეცვლა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი (წარმოდგენილი მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის სახით)

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9.პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,3% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი | შპს ,,G.N.Group" მის: ქ. თბილისი |
| მის: ქ.რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი№20 | დ.თავდადებულის ქ.№4 |
| საიდენტიფიკაციო კოდი №216433287 | საიდენტიფიკაციო კოდი №404894879 |
| სს ,,ლიბერთი ბანკი" | სს ,, ბანკი ქართუ" |
| ბ/კ № LBRTGE22 | ბ/კ №CRTUGE22 |
| ა /ა №GE78LB0125148543037000 | ა\ ა №GE29CR0000000012493602 |
| ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე | შპს ,,G.N.Group"-ის დირექტორი |
| *გიორგი ტაბატაძე* | *გიორგი ნიბაძე* |

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: სოფიო კარანაძე

დანართი №1

| დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთ.ფასი | თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს და ევროკავშირის დროშა სადგამით | ცალი | 4 | 360,0 | 1440 |
| სულ | | | | 1440 |

შპს „G.N.Group"-ის დირექტორი

*გიორგი ნოზაძე*